Programmatic Cooperation Framework for
Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

ინფორმაცია პრესისთვის

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველო

პროექტის ბენეფიციარები

- შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, რომელთა კომპეტენციაა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა ყველა დონეზე;
- გადაწყვეტილების მიმღებები, რომელთა უფლებამოსილებაში შედის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შიდა რეფორმების განხორციელება;
- საბოლოო ჯამში, მოქალაქეები, რომლებიც მიიღებენ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მარეგულირებელ უფრო ეფექტურ და ქმედით საკანონმდებლო ჩარჩოსა და ინსტიტუტებს.

პროექტის მიზნები

- საქართველოს კანონმდებლობის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში არსებული რისკების იდენტიფიცირება და შესაბამისი პრევენციული ზომების შემუშავება;
- საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული შესაბამისი ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება.

როგორ იმუშავებს პროექტი

- ტექნიკური მხარდაჭერით, რომლის საშუალებით შეფასდება საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული კანონმდებლობა, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერებით რისკების შეფასებისა და ზედამხედველობის პროცესში;
- პრევენციული ზომების მარეგულირებელი შესაბამისი საზედამხედველო და მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერებით;

პროექტის აქტივობები

- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული ადგილობრივი კანონმდებლობისა და შესაბამისი ზომების შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება მათი გაუმჯობესების მიზნით;
- სამუშაო შეხვედრები, არსებული გამოწვევების დადგენისა და ადგილობრივი თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით;
- ტრეინინგების ორგანიზება არსებული გამოწვევების მიმართ ადგილობრივი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით;
- შესაბამისი დოკუმენტებისა და

http://eap-pcf-eu.coe.int

Programmatic Cooperation Framework for
Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

ინფორმაცია პრესისთვის

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველო

- შესაბამისი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერებით ფულის გათეთრების და ეკონომიკური დანაშაულის სფეროში სისხლის სამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელებისას.
- სახელმძღვანელოების შემუშავება ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროექტის ბიუჯეტი

- პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 500 000 ევროს

პროექტის ხანგრძლივობა

- პროექტი გრძელდება 2015 წლის პირველი იანვრიდან 2017 წლის 31 აგვისტომდე.

ვინ არის პროექტზე პასუხისმგებელი

- პროექტი ხორციელდება ევროპის საბჭოს ეკონომიკური დანაშაულისა და თანამშრომლობის განყოფილების მიერ - DGI.

დამატებითი ინფორმაციისათვის

- ელენა იოლიკი, ადმინისტრატორი Jelena.JOLIC@coe.int;
  ნათია ჟღენტი, პროექტის კოორდინატორი, Natia.JGENTI@coe.int
  თეა ზარნაძე, პროექტის ოფიცერი tea.ZARNADZE@coe.int

2014 წლის აპრილში, ევროპის კავშირი (EU) და ევროპის საბჭო (CoE) შეთანხმდნენ, რომ ევროპის კავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდავეთის რესპუბლიკაში, უკრაინასა და ბელორუსიაში, მიზნობრივი თანამშრომლობის ფარგლებში დასახული აქტივობები „პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩოს“ (PCF) ფარგლებში განხორციელდებოდა.

ზემოთხსენებული თანამშრომლობის ჩარჩოს ფარგლებში დასახული ღონისძიებები ხელს შეუყობენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, რომლებიც, ასევე, წარმოადგენენ ევროპის საბჭოს ქვეყნებს, გამონაკლისია ბელორუსია, ეროვნულ დონეზე რეფორმების გატარებას ამ ქვეყნების ევროპის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა.

„პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩოს“ საერთო ბიუჯეტი 2015-2017 წლისათვის შეადგენს 33.8 მილიონ ევროს.

http://eap-pcf-eu.coe.int